

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №685

ქ. ბათუმი, 16 ოქტომბერი 2014 წ

ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. №40-ში მდებარე 512,88 კვ.მ.  
ფართის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე  
საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ

ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. №40-ში მდებარე №05.21.54.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 1 272,00 კვ.მ. თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, რომლის შედეგად შენობა-ნაგებობაზე განხორციელდა მე-2 და მე-3 სართულების დაშენების სამუშაოები. ჩატარებული შიდა აზომვითი სამუშაოების შედეგად დადგენილია, რომ მე-3 სართულის ფართი შეადგენს 512,88 კვ.მ-ს.

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 106-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება, მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, შეძენილი ან რეგისტრირებული ქონება. თავის მხრივ კანონის 111-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი განმარტავს, რომ მუნიციპალიტეტის ქონება იქმნება საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით.

ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. №40-ში მდებარე №05.21.54.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 1 272,00 კვ.მ. თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე არსებული 512,88 კვ.მ. ფართი - უძრავი ქონება შექმნილია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და იგი ექვემდებარება საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 106-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხოს ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. №40-ში მდებარე №05.21.54.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 1 272,00 კვ.მ. თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე არსებული 512,88 კვ.მ. ფართი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ დამატებით ქონებას.

**3.** ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს (ი. არჩაია) საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

**4.** ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს (ე. ლომაძე).

**5.** წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების აღრიცხვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი №61001010495).

**6.** წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

**7.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

**8.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი